განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა "ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა"

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი"

შეფასების თარიღი: 10.12.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი 18.01.2019

თბილისი

2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი"
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328701
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ეპიდემიოლოგიის მაგისტრი/გარემოს მედიცინის მაგისტრი 090402090401
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ციცინო თურქაძე, აკაკი წერეთლის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ მოქმედებს 2009 წლიდან. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (21/10/2011, გადაწყვეტილება #130).
სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ მიზანია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს მედიცინის სფეროებში დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვალიფიციური კადრების მომზადება ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის გატარებაში აქტიური და ეფექტური მონაწილეობის მისაღებად. უსდ-ს მიერ დასახულია ამოცანები:

1. კურსდამთავრებულთა
   - აღჭურვა ღრმა და ფუნდამენტური ცოდნით პრაქტიკული საქმიანობისათვის ეპიდემიოლოგიასა და/ან გარემოს მედიცინაში;
   - მომზადება სადოქტორო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის.
2. იმ კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც:
   - აქვთ პრაქტიკული უნარები, რათა კონკრეტულ სიტუაციაში შეაფასონ გარემოს ფაქტორების გავლენა მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე და ჯანმრთელობაზე;
   - შეუძლიათ გამოავლინონ რისკის ფაქტორები, შეიმუშაონ და გაატარონ ჰიგიენურ– ეკოლოგიური და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებელი პროფილაქტიკური ღონისძიებები;
   - შეუძლიათ განახორციელონ ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა გადამდები და არაგადამდები დაავადებების მიმართ;
   - აქვთ გარემოს ფაქტორების მოქმედების შეფასების და სათანადო ორგანოებისათვის ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი უარყოფითი ზემოქმედების აღკვეთის ღონისძიებების შემუშავებისა და მიწოდების უნარი.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს (ერთი კრედიტი შეესაბამება 30 საათს), სადაც სასწავლო კომპონენტი შეადგენს 90 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი – 30 კრედიტს. სწავლების ენას წარმოდგენს ქართული ენა. პროგრამის ხანგრძლივობაა ორი წელი (4 სემესტრი).
სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, ენიჭება ეპიდემიოლოგიის მაგისტრის ან გარემოს მედიცინის მაგისტრის აკადემიური ხარისხი

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019 წლის 10 დეკემბერს განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის ფარგლებში მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობა, ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასება და

პროგრამაში ჩართულ და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრება დაგეგმილი დღის წესრიგის შესაბაისად. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და სამუშაო გარემოში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია თანამშრომლობდა ექსპერტთა ჯგუფთან და მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა მათ მიერ ხდებოდა მყისიერად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ მიზანია - საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს მედიცინის სფეროებში დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვლიფიციური კადრების მომზადება, ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის გატარებაში აქტიური და წარმატებული მონაწილეობის მისაღებად. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზანში ხაზგასმულია „ეროვნული პოლიტიკის გატარება“, მისიიდან გამომდინარე მიზანი ამ კუთხით მოითხოვს დახვეწას და საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანობის დეკლარირებას.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და შეესაბამება კანონმდბლობას და თსსუ-ს ზოგად მარეგულირებელ დებულებებს. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია და უზრუნველყოფს პორგრამის შედეგების მიღწევას. შინაარსი შეესაბამება პროგრამის შედეგებში ასახულ კომპეტენციიების განვითარებას, თუმცა სასურველია უფრო მეტად იქნას გამოყენებული დარგის სწავლა-სწავლების არსებული საერთაშორისო კარგი პრაქტიკა. სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ინფრმაციას როგორც პროგრამის ხელმძვანელისაგან, ისე აკადემიური პერსონალისგან. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე სათანადო კონსულტაცირებას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
პროგრაში ჩართულ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს, აქვთ თეორიული და პრაქტიკული დარგობრივი საქმიანობის მდიდარი გამოცდილება, გამოქვეყნებული აქვთ არაერთი სამეცნიერო სტატია, სახელმძღვანელო, კვლევა, მონოგრაფია ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, გააჩნიათ სამეცნიერო-საკვალიფიკაციო ნაშრომების, საგრანტო პროექტებისა და სხვა სამეცნიერო ტიპის დარგობრივი კვლევების განხორციელების გამოცდილება.
უნივერსიტეტის მატერილაური-ტექნიკური ბაზა, ასევე საინფორმაციო რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
უნივერსიტეტის ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის მდგრადობა, სტაბილურობა და ეფექტური ფუნქციონირება.
პროგრამაში ჩართულ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტარციულ პერსონალს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
უნივერსიტეტი აქტიურად იყბნებს პროგრამის სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით ხარისხის შიდა და გარე შეფასებას. მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე ზრუნავს პროგრამის და მის მიმდინარეობის გაუმჯობესებაზე.

- **რეკომენდაციები**

- პროგრამის მიზანში ასახეთ საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაზე ორიენტაცია, ისევევ როგორც არის გაცხადებული უნივერსიტეტის მისიით
- მოიძიეთ დეტალური სფეროების შესაბამისი სამაგისტრო პროგრამები, გაანალიზეთ და გაიზიარეთ არსებული საუკეთესო პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები;
- გააუმჯობესეთ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება (განსაკუთრებით პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში), ისე, რომ უზრუნველყოთ სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება.
- გადაამუშავეთ პრაქტიკის სილაბუსი (გარემოს მედიცინა) შეფასების ნაწილთან მიმართებით.
- პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს უფრო დეტალურად, რათა მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული და დაგეგმილი აქტივობების დოკუმენტურად იდენტიფიცირება

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - გაზარდეთ სამაგისტრო პროგრამაზე უცხო ენების გამოცდის შესახებ ინფორმაციაზე (გამოცდის ფორმატი, მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, საკითხები და ა.შ) ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის.
  - სასურველია ბეჭდური ფორმით წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომებისადმი გაფორმების და წარმოდგენის მოთხოვნების გაზრდა
  - დაინტერესებულ სტუდენტებს შეთავაზეთ ქართულენოვანი კურსების შესაბამისი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები არჩევითი კურსის სტატუსით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა შემუშავებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის და გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტის მიერ. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ მიზანია - საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს მედიცინის სფეროებში დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვლიფიციური კადრების მომზადება, ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის გატარებაში აქტიური და წარმატებული მონაწილეობის მისაღებად. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზანში ხაზგასმულია „ეროვნული პოლიტიკის გატარება“, რაც უდაოდ დასაფასებელია, თუმცა უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, სადაც დეკლარირებულია, რომ დაწესებულების მისიას წარმოადგენს „კურსდამთავრებულების აღჭურვა ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით“, მიზანშეწონილია პროგრამის მიზანშიც ასახული იყოს საერთაშორისო დონის კვალიფიკაციის მიღწევა და დასაქმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის მისია ▪ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: პროგრამის მიზანში ასახეთ საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაზე ორიენტაცია, ისევევ როგორც არის გაცხადებული უნივერსიტეტის მისიით
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნიდან გამომდინარე პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რის შედეგადაც მოხდება:

3. კურსდამთავრებულთა
   - აღჭურვა ღრმა და ფუნდამენტური ცოდნით პრაქტიკული საქმიანობისათვის ეპიდემიოლოგიასა და/ან გარემოს მედიცინაში;
   - მომზადება სადოქტორო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის.
4. იმ კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც:
   - აქვთ პრაქტიკული უნარები, რათა კონკრეტულ სიტუაციაში შეაფასონ გარემოს ფაქტორების გავლენა მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე და ჯანმრთელობაზე;
   - შეუძლიათ გამოავლინონ რისკის ფაქტორები, შეიმუშაონ და გაატარონ ჰიგიენურ– ეკოლოგიური და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებელი პროფილაქტიკური ღონისძიებები;
   - შეუძლიათ განახორციელონ ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა გადამდები და არაგადამდები დაავადებების მიმართ;
   - აქვთ გარემოს ფაქტორების მოქმედების შეფასების და სათანადო ორგანოებისათვის ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი უარყოფითი ზემოქმედების აღკვეთის ღონისძიებების შემუშავებისა და მიწოდების უნარი.

გამომდინარე იქედან, რომ წარმოდგენილ პროგრამაში არსებობს ორი კონცენტრაცია : 1. ეპიდემიოლოგია და 2. გარემოს მედიცინა და იმის მიხდვით თუ სტუდენტი რომელ

მიმართულებას აირჩევს, პროგრამაში კომპეტენციები წარმოდგენილია დეტალურადდ მიმართულების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამას ასევე ერთვის სწავლის შედეგების რუკა, სდაც თვალნათლივ არის ასახული ეპიდემიოლოგიის მაგისტრის კომპეტენცია და გარემოს მედიცინის მაგისტრის კომპეტენცია. პროგრამის შედეგები შეფასებას დაწესებულება ახორციელებს მუდმივად, კერძოდ მაგისტრანტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და მათი ანალზიი გამოოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ წარმატებით დაძლევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ცოდნის ვალიდობას, მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და მზაობას სადოქტორო საფხურზე განათლების მიღების და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები • თვითშეფასების ანგარიში • სწავლის შედეგების რუკა • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ჩატარებული გამოკითხვები და მათი ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ დაშვების წინაპირობებია: 1) ეროვნული სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; 2) საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარება სპეციალობასა და უცხოურ ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული). წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. საუნივერსიტეტო გამოცდა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. გამოცდა სპეციალობაში სამაგისტრო პროგრამაზე „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ ტარდება ორივე მიმართულების (ეპიდემიოლოგია/გარემოს მედიცინა) მომცველი ტესტების საშუალებით. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, საკონკურსო ადგილებისა და კონკურსში მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც მისაღები გამოცდების, ასევე მობილობის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- სამაგისტრო პროგრამა “ეპიდემიოლგია და გარემოს მედიცინა” საკითხები მისაღები გამოცდისათვის სპეციალობაში
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გაზარდეთ სამაგისტრო პროგრამაზე უცხო ენების გამოცდის შესახებ ინფორმაციაზე (გამოცდის ფორმატი, მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, საკითხები და ა.შ) ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ს შემუშავებული აქვს „დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ“ (თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №24/5 დადგენილებით, 15.05.2017. №24/3 ცვლილებით), რომელიც:

- აწესრიგებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელების წესსა და პირობებს;
- განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შემუშავების წესს;
- განსაზღვრავს მაგისტრატურაში ჩარიცხვასა და მაგისტრანტის სტატუსის მინიჭებას;
- განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებას, საჯარო დაცვასა და შეფასებას.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტაციის საფუძველზე მოხდა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი განხორციელება და მონიტორინგი.

სამაგისტრო პროგრამა „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ მოიცავს 120 კრედიტს, 1 კრედიტის მოცულობა შეადგენს 30 საათს. სამაგისტრო პროგრამის სწავლების I-II სემესტრში სწავლება მიმდინარეობს ერთი სასწავლო გეგმით ყველა მაგისტრანტისთვის. III სემესტრიდან სწავლება მიმდინარეობს განსხვავებული სასწავლო გეგმით. კერძოდ, მე-3 სემესტრის გეგმა ითვალისწინებს 3 საერთო სასწავლო კურსს (ბიოდაცვა და ბიოუსაფრთხოება, გარემოს ეპიდემიოლოგია, გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის კომპლექსური შეფასება), რომელთა დაძლევის შემდეგ მაგისტრანტი ირჩევს კონცენტრაციას - ეპიდემიოლოგია ან გარემოს მედიცინა. არჩევანის შესაბამისად ის გაივლის სათანადო სასწავლო კურსებს 23 კრედიტის მოცულობით და პროფესიულ პრაქტიკას შესაბამისი მიმართულებით. მე-4 სემესტრი კი დათმობილი აქვს მაგისტრანტის მიერ სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას შესაბამის სპეციალობაში, რომლის წარმატებით დაცვის შემდეგ მას ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო სწავლების მეორე საფეხურს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამა წარმოდგენილია ორი სპეციალობის სახით და ანიჭებს ერთ-ერთ აკადემიურ ხარისხს: ეპიდემიოლოგიის მაგისტრის (დეტალური სფერო 0912 - მედიცინა) და გარემოს მედიცინის მაგისტრის (დეტალური სფერო 0919 - ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული).

თითოეული მისანიჭებელი ხარისხისათვის პროგრამა ითვალისწინებს არანაკლებ 60 კრედიტის რაოდენობის სასწავლო და კვლევით კომპონენტებს, რომელიც შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. თითოეული მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც ასევე შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

სხვადასვა პირებთან ინტერვიუირებამ დაადასტურა, რომ პროგრამის შემუშავებაში და განვითარების პროცესში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები: აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. წარმოდგენილი პროგრამა მოქმედია 2011 წლიდან და პროგრამის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია თსსუ-ს საზოგადოებრივი ფაკულტეტის ვებ-გვერდზე და თსსუ-ს სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალში.

წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფი ნაკლებად ეყრდნობოდა და ითვალისწინებდა დეტალური სფეროს შესაბამის ანალოგ პროგრამებს, საერთაშორისო დონეზე არსებულ საუკეთესო პრაქტიკასა და დეტალური სფეროს განვითარების ტენდენციებს.

პროგრამის ხელმძღვანელების განცხადებით, პროგრამის ასეთი კონფიგურაცია წარმოადგენს მათ მიერ შემუშავებულ ერთგვარ „ნოუ-ჰაუს“. თუმცა საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და განვითარების ტენდენციების გათვალისწინება პროგრამის შესაბამის დეტალური სფეროების მიხედვით - უფრო მეტად განავითარებს პროგრამას და გაზრდის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ“ (თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №24/5 დადგენილებით, 15.05.2017. №24/3 ცვლილებით);
- თსსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები;

- თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - კრიტერიუმები საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის;
- საგანმანათლებლო პროგრამა „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“;
- პროგრამის თვითშეფასება;
- პროგრმის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

მოიძიეთ დეტალური სფეროების შესაბამისი სამაგისტრო პროგრამები, გაანალიზეთ და გაიზიარეთ არსებული საუკეთესო პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი სპეციალობების - 1) ეპიდემიოლოგია და 2) გარემოს მედიცინა შესაბამისი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტი სწავლების შესაბამისი ეტაპის ადეკვატურია და ეფუძნება სტუდენტის პრერეკვიზიტულ ცოდნას და უნარებს. პროგრამის ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგები ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამატებითი სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ძირითადად წარმოადგენს ქართულენოვან ლიტერატურას - სახელმძღვანელოებს და ჰენდ-აუტებს, რომელიც შექმნილია თსსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ. ცალკეულ სასწავლო კურსებში ქართულენოვანი სავალდებულო

სასწავლო მასალა ნაწილობრივ შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და ასევე ნაწილობრივ ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში. აღნიშნული უმეტესწილად კომპენსირებულია დამატებითი ლიტერატურით, რომელიც წარმოადგენს უცხოენოვან ლიტერატურას და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

წარმოდგენილი პროგრამის ადამიანური რესურსების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა საერთაშორისო ბაზარზე კომკურენტუნარიანობისა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გასაზრდელად ეფექტური გზას წარმოადგენს პროგრამის ქართულენოვანი კურსების შესაბამისი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება არჩევითი კურსის სტატუსით. ეს დაინტერესებულ სტუდენტებს მისცემს ალტერნატიულ შესაძლებლობას ინგლისურენოვანი კურსის ფარგლებშიც გაეცნონ მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს.

შეფასების არსებული სისტემა შესაძლებლობას იძლევა მოხდეს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. თუმცა გარკვეულწილად პრობლემურია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში. მაგ. სასწავლო კურსი ეპიდემიოლოგიური კვლევის მეთოდები და სტატისტიკური ანალიზი, გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის კომპლექსური შეფასება, ნუტრიციული ეპიდემიოლოგია და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“;
- პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ სილაბუსები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

გააუმჯობესეთ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება (განსაკუთრებით პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში), ისე, რომ უზრუნველყოთ სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დაინტერესებულ სტუდენტებს შეთავაზეთ ქართულენოვანი კურსების შესაბამისი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები არჩევითი კურსის სტატუსით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და შესაბამისი საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას დაგეგმილი პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტის საშუალებით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები და ხელშეკრულებები შესაბამის ორგანიზაციებთან. კერძოდ, თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალურ ცენტრში და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში - ეპიდემიოლოგიის სპეციალობით; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოში, ასევე სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის და შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში - გარემოს მედიცინის სპეციალობით. გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. პროგრამაში წარმოდგენილია პრაქტიკის სილაბუსი (გარემოს მედიცინა), სადაც აღწერილი შეფასების მიდგომები და თემატური გეგმა არ არის თანხვედრაში. თსსუ-ს დოკუმენტის „დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ“ მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი პროფილის დოქტორი ან მაგისტრი, დარგში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილებით, ხოლო თანახელმძღვანელი - მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მაგისტრანტების (დაგეგმილი კონტინგენტის გათვალისწინებით) თანაფარდობა შესაძლებლობას იძლევა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელად დაინიშნოს შესაბამისი კომპეტენციის პირი. პროგრამის ხელმძღვანელების განცხადებით ერთი პროფესორი ხელმძღვანელობს არაუმეტეს 2 მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას. აკადემიურ პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებამ, ასევე სამაგისტრო ნაშრომების გადახედვამ დაადასტურა, რომ სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს: მაგისტრანტის მიერ საკვლევი მასალის შეგროვებას, საჭირო ინფორმაციის მოძიებას და მის სწორ ინტერპრეტაციას, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, შეფასებას, შედეგების გაანალიზებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას, მტკიცებულებების გამოყენებას პრაქტიკაში. პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში, ასევე თანამშრომლობენ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სხვადასხვა სოციალური პროექტის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“;
- პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ სილაბუსები.
- პროგრამის თვითშეფასება
- პრაქტიკის ბაზებთან დადებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

გადაამუშავეთ პრაქტიკის სილაბუსი (გარემოს მედიცინა) შეფასების ნაწილთან მიმართებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია მაგისტრანტზე და გულისხმობს მაგისტრანტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ მიზნით გამოყენებული მეთოდები მოიცავს შემთხვევათა სწავლებას, ინტერაქტიურ სწავლებას, სემინარებს და პროექტებს, რაც შეესბამება სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებას.

თსსუ-ში მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის მიერ სწავლის დადგენილი შედეგის მიღწევისათვის საჭირო პროცედურებს, სასწავლო კურსების წინაპირობებს, მობილობით გადმოსული სტუდენტების პროგრამული თავსებადობის საკითხს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“; ▪ პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ სილაბუსები. ▪ პროგრამის თვითშეფასება ▪ დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ ჩარიცხული სტუდენტების შეფასება გამჭვირვალეა, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და შესაბამისია კანონმდებლობასთან. სამაგისტრო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 5.01.2007 შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტს. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის საქმიანობა ფასდება შემდეგნაირად: • სტუდენტის შუალედურ შეფასებებს 60 ქულის ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, მოიცავს მაგისტრანტის აკადემიურ აქტივობას, დამოუკიდებელ მუშაობას და სხვა კომპონენტებს (კოლოკვიუმი, პრეზენტაცია და ა.შ.). შუალედური

შეფასებების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი სხვადასხვა საგანში განსხვავებულია და შეესაბამება საგნის ეფექტური სწავლების ინტერესს. შეფასებების პარამეტრები მრავალფეროვანია, ასახულია სილაბუსებში (დასაშვებია მათი ცვალებადობა). თანაფარდობა სხვადასხვა კომპონენტს შორის განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით.

- დასკვნითი გამოცდის ფორმები სასწავლო კურსების მიხედვით დიფერენცირებულია. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდაზე მაქსიმალური შეფასების მიღების შემთხვევაში შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა მაინც. დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია მაგისტრანტის მიერ 24 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60% და მეტი) მიღების შემთხვევაში. გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, სხვა კომპონენტებით დაგროვილი ქულების მიუხედავად, მაგისტრანტი კრედიტს ვერ იღებს. საბოლოო შეფასებაში (შუალედურ და საგამოცდო შეფასებათა ჯამი) გამოცდის წილი არ აღემატება 40%-ს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა. (A) ფრიადი - 91-100 ქულა; ბ. (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ. (C) კარგი - 71-80 ქულა; დ. (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე. (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა. (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50% (ანუ, 41-50 ქულა), რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება ეძლევა.

ბ. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები (ანუ 41 ქულაზე ნაკლები), რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

სილაბუსებიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამაზე „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და მისი შეფასება გაწერილია დეტალურად როგორც სამაგისტრო პროგრამაზე „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“, ისევე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ დებულებაში (17.2. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება):

- ნაშრომი ფასდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის დახურულ სხდომაზე დაცვის დასრულებისთანავე.
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო
- ნაშრომს აფასებენ 0-100 ქულით
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასება დგინდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკულით.
- სამაგისტრო ნაშრომის 51 და მეტი ქულით შეფასებისას ნაშრომი ითვლება დაცულად

შეფასების ქულათა შემდეგი გრადაციით:

91-100 ქულა – საუკეთესო ნაშრომი,

81-90 ქულა – ძალიან კარგი ნაშრომი, 71-80 ქულა – კარგი ნაშრომი, 61-70 ქულა – საშუალო დონის ნაშრომი, 51-60 ქულა – დამაკმაყოფილებელი ნაშრომი, 0-50 ქულა – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსსუ-ში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი; • სამაგისტრო პროგრამა „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ • თსსუ-ის ოფიციალური ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ ფარგლებში სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე სათანადო ინფორმაციას. ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტის ინფორმირებაზე ზრუნავს როგორც დეკანატი, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სტუდენტს უტარდება სათანაადო კონლუსტაციები, რომლის ცხრილიც ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. საკონსულტაციო მუშაობის გრაფიკი დგება და საჯაროდ ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისშივე. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შესახებ“ დადგენილების თანახმად სტუდენტთან აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების რაოდენობა გამოყოფილია არანაკლებ 2 საათისა. სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ ფარგლებში სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ. ინფორმირება ხოლციელდება ელექტრონული ფოსტის, ისევე როგორც თსსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მეშვეობით. სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი იღებს სათანადო ინფრომაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა • “საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი) ფუნქციები და მოვალეობები; • ინტერვიუს შედეგები; • თსსუ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა და შესრულება ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური ან მოწვეული პერსონალის მიერ. პროგრაში ჩართულ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს, აქვთ თეორიული და პრაქტიკული დარგობრივი საქმიანობის მდიდარი გამოცდილება, გამოქვეყნებული აქვთ არაერთი სამეცნიერო სტატია, სახელმძღვანელო, კვლევა, მონოგრაფია ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, გააჩნიათ სამეცნიერო-საკვალიფიკაციო ნაშრომების, საგრანტო პროექტებისა და სხვა სამეცნიერო ტიპის დარგობრივი კვლევების განხორციელების გამოცდილება. ბეჭდური სახით წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას უნდა მიეცექცეს ყურადღება, ვინაიდან წერით ნაშრომში მოცემული ზოგიერთი დიაგრამა არაინფორმატიულია, ვინაიდან მონაცემების პროცენტული დისტრიბუცია არის ფერების მიხედვით, მაშინ როდესაც ნაშრომი შავ-თეთრი ფორმატით არის დაბეჭდილი, სადაც დიაგრამები ერთი ფერისაა და ინფრომაციის მიღება შეუძლებელია, ტექსტში კი ეს მონაცემები არ არის მოცემული. (მაგ. 2017 წლის სამაგისტრო ნაშრომი“ქრონიკული ტკივილის გავრცელება და მისი მართვის დონის ცოდნა ამბულატორიულ პაციენტებში“ გვ.23-24-25-26).

მსგავსი სათაურის სამაგისტრო თემები მაგისტრანტებს შესრულბული აქვთ წინამორბედის ნაშრომის გამოყენებით, სადაც ტექსტი მეტწილად იდენტურია. სასურველია მოხდეს საკუთარი მასალის მეტწილად წარმოდგენა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხელმძღვანელების პირადი საქმეები • სამაგსტრო ნაშრომები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ბეჭდური ფორმით წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომებისადმი გაფორმების და წარდგენის მოთხოვნების გაზრდა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ განხორციელებაში ჩართულია 35 პირი. მათგან 20 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 15 - მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალიდან 5 არის პროფესორი და პროფილური დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 7 მასწავლებელი ასოცირებული პროფესორია, ხოლო 8-ასისტენტ-პროფესორი შესაბამის პროფილურ დეპარტამენტებში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. მოწვეული 15 პედაგოგიდან უმრავლესობა მუშაობს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს მედიცინის პრაქტიკულ დაწესებულებებში . აკადემიური და მოწვეული პერსონალის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი კვლევითი აქტივობა. მოწვეული პერსონალის სტატუსის მოპოვების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი კრიტერიუმია მისი პრაქტიკული და/ან აკადემიური გამოცდილება. აღნიშნული გარემოება დადასტურდა გასაუბრებებით და პერსონალის პირადი საქმეებით. გამომდინარე იქედან, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ანიჭებს ორ სხვადასხვა კვალიფიკაციას და შესაბამისად პროგრამით გათვაისწინებული შინაარსი ითვალისწინებს განსხვავებულ კომპეტენციებს, სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს 2 პროფესორი, პროგრამის ერთი ხელმძღვანელობს

ეპიდემიოლოგიის მიმართულების სასწავლო კურსების გამართულ მუშაობას, ხოლო მეორე - გარემოს მედიცინის მიმართულების სასწავლო კურსების მიმდინარეობას. ორივე მათგანს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

უნივერსიტეტში შემუშავებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი, რომელიც განსაზღვრავს შერჩევის ძირითად პრინციპებს. პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

უნივერსიტეტში გააჩნია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხდება ადამიანური რესურსების შერჩევა, დასაქმება, პროფესიული განვითარება და მოტივაციის საკითხების განხილვა.

პერსონალის საუშაო დატვირთვა შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- თსსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ აკადემიური პერსონალის საკონკურსო მასალები;
- თსსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ აკადემიური/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
- სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა;
- სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;
- სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქციები და პირადი საქმე

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებული თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N24/6 დადგენილებით); ასევე მოქმედებს თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი (დამტკიცებული თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის N24/7), რომლის მიხედვითაც შეფასების პირველი ციკლის დაწყება დაგეგმილია 2019-2020 წლიდან. ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჩატარებული აქვს მოცულობითი მოსამზადებელი სამუშაოები შეფასების პროცესის განხორციელებისათვის 2019-2020 სასწავლო წელს. გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით თსსუ-ს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლვითი საქმიანობის შეფასებას. პროგრამის განხორციელების ეტაპებზე პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, პერსონალთან ინტერვიუირებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ფასდებოდა პერსონალის პროფესიული გადამზადების საჭიროებები. შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები: ტრენინგები, კონფერენციები, სტაჟირებები, სემინარები. უსდ ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. წარმოდგენილი პერსონალური მონაცემების, ინტერვიუირებისა და უნივერსიტეტის ოფიციალური მონაცემების

მიხედვით, დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კველევებსა და კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებული თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N24/6 დადგენილებით); • თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი (დამტკიცებული თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის N24/7 დადგენილებით). • სამაგისტრო პროგრამაში „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ ჩართული პირების პერსონალური CV. • ინტერვიუირების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით დ ტექნიკური აღჭურვილობით. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი ფუნქციონირებს და მასზე ატვირთულ მასალებს სტუდენტები იყენებენ სასწავლო მიზნებისათვის, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის სილაბუსების შესაბამისად, შერჩევითი შემოწმების საფუძველზე, დაადასტურა მითითებული ლიტერატურის არსებობა საბიბლიოთეკო ფონდში. ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზებსა და კაბინეტებში როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით.სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ფართო წვდომა აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე: • თსსუ-ს შეძენილი აქვს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) პროგრამის Research4life ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და ARDI) მოხმარების ლიცენზია • რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გრანტით უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა საგამომცემლო კორპორაცია Elsevier-ის ორ საძიებო ბაზაზე: • ScienceDirect – 2200 აკადემიური ჟურნალისა და 25000-ზე მეტი ელექტრონული წიგნის სრულტექსტური ბაზა. • Scopus - რეფერირებული სამეცნიერო ლიტერატურის უმსხვილესი მონაცემთა ბაზა; საინფორმაციო ჰაბი მეცნიერული კვლევის მიმოხილვის, სტატისტიკის, ციტირების ინდექსის და სხვა ღირებული მონაცემების შესახებ მკვლევარებისათვის. • აშშ-ს მთავრობის დაფინანსებით თსსუ-სა და British Medical Journal (BMJ)-თან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, კლინიკების ექიმებს, რეზიდენტებსა და დამამათავრებელი კურსის სტუდენტებს საშუალება აქვთ, 2019 წლამდე, უფასოდ მიიღონ წვდომა BMJ-ის ორ რესურსზე _ BMJ best Practice და BMJ Learning და გამოაქვეყნონ პუბლიკაციები. უსდ-ს ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, სასწავლო და რეკრეაციულ ზონებში დაცულია უსაფრთხოების წესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ელექტრონული ბაზებზე წვდომის ხელშეკრულებები • ფაქტობრივი მდგომარეობა • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი • ბიბიბლიოთეკის წიგნების ფონდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილია დოკუმენტის სახით, რომელიც ითვალისწინებს 2019 წლის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტს და შეთანხმებულია 2018 წლის 15 ნოემბერს (ოქმი 2) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოზე. აღნიშნული ბიუჯეტი წარმოადგენსს 108 000 ლარს, სადაც 72 000 ლარი წარმოადგენს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა რაიმე ტიპის სხვა ხარჯი არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტით. აქვე უნდა ღინიშნოს, რომ წარმოდგენილია ფაკულტეტის ბიუჯეტიც და უნივერსიტეტის ბიუჯეტიც, რომელიც უდაოდ ადასტურებს პროგრამის მდგრადობას, თუმცა სასურველია პროგრამის ბიუჯეტი უფრო დეტალურად იყოს გაწერილი, რათა დადასტრდეს უნივერსიტეტის მხრიდან დაგეგმილი და შესრულებული საქმიანობა (პროგრამისთვის საბიბლიოთეკო რესურსების განახლება, პრაქტიკის უზრუნველყოფა, კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის 2019 წლის ბიუჯეტი • ფაქტობრივი მდგომარეობა • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს უფრო დეტალურად, რათა მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული და დაგეგმილი აქტივობების დოკუმენტურად იდენტიფიცირება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: თსსუ-ს ცენტრალური ადმინისტრაციული სტრუქტურაა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის დაქვემდებარებაშია ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პრინციპზე -„დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და განავითარე" დაყრდნობით უზრუნველყოფს ხარისხის მართვას.

პროგრამის პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და მიმდინარეობის შეფასების პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები და დაინტერესებული მხარეები.

ხარისხის განვითარებისკენ მიმართული საქმიანობის ძირითადი ასპექტები და ადრესატი სტრუქტურებია:

▪ სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე სასწავლო დეპარტამენტები;

▪ სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე ადმინისტრაციული სტრუქტურები;

▪ სამაგისტრო პროგრამა;

▪ თსსუ-ის ეგიდით გამოცემული სასწავლო და სამეცნიერო პროდუქცია;

▪ დაგეგმილი სამუშაო ხორციელდება თსსუ-ის წესდების, შინაგანაწესის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად და შიდასამსახურებრივი (მათ შორის - აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული) კრიტერიუმებით და გეგმით;

▪ მიღებული შედეგების სარწმუნო ანალიზი და შიდასამსახურებრივი განხილვა, მათ შორის - ექსპერტთა აზრის გათვალისწინებით;

▪ ანალიზის შედეგად რეკომენდაციების/შენიშვნების/მოსაზრებების შემუშავება და მოხსენება სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე აკადემიურ სტრუქტურების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის და თსსუ-ის აკადემიური (რიგ შემთხვევებში - წარმომადგენლობითი) საბჭოებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს გამოკითხვებს და შედეგების ანალიზს. სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი მოწმდება, ერთი მხრივ, აკადემიური მონაცემების ანალიზით და, მეორე მხრივ, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზის სფუძველზე. მაგისტრანტთა მოსწრება განიხილება, უპირატესად, გაუსის მრუდთან მიმართებით. თუმცა უნივერსიტეტი მეტი სარწმუნოებისთის იყენებს დამატებით მეთოდს და მიიშნევს, რომ უფრო ეფექტური მექანიზმია კონკრეტულ სასწავლო კურსში მაგისტრანტთა აკადემიური მოსწრების კომპლექსური ანალიზი, სახელდობრ: 1) საბოლოო შეფასებების, ასევე, შუალედური (სემესტრული ან კურაციული) და საგამოცდო შეფასებების კორელაცია, რაც სასწავლო კურსის განხორციელების ეფექტურობაზე და მისი გაუმჯობესების გზებზე ინფორმაციას იძლევა; 2) კონკრეტულ სასწავლო კურსში სხვადასხვა პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედარებითი ანალიზი. ასეთი შეფასება მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სასწავლო კურსის სწავლებისას კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინების ხარისხის შეფასებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კვლევის შედეგებს და მათი პირველადი ანალიზის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/კურიკულუმის კომიტეტს/აკადემიურ საბჭოს და ხდება საფუძველი ამა თუ იმ აქტივობის კორექციისა თუ გაძლიერებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • სილაბუსის შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები, დამტკიცებული თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის #24/5 საოქმო დადგენილებით; • საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები, დამტკიცებული თსსუ–ის რექტორის 2010 წლის 12 დეკემბრის #102/01 ბრძანებით; • სამაგისტრო პროგრამასთან „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (მაგისტრანტების პროგრესია, სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების მაჩვენებელი); • საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი. • კითხვარები • გასაუბრების შედეგები • თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, წარმოადგენს ძირითაად გარე შემფასებელს, რომელსაც უსდ პერიოდულად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების წლიური ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად. თუმცა უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ეთხოვა საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ორ წევრს.

შემფასებელების მიერ გაიცა რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებული იქნა პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარე შემფასებელების რეკომენდაციები • გასაუბრების შედეგები • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“, დამტკიცებული თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის #24/2 დადგენილებით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ს მიერ ხდება საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შეფასება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდება პროგრამაში სათანადო ცვლილებები და შესაბამისად პროგრამის დახვეწა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებითი და ანალიზური სამუშაოს

პერიოდულობაა: ▪ სამაგისტრო პროგრამის შეფასება - ორი წლის განმავლობაში ერთხელ; ▪ მაგისტრანტთა გამოკითხვა - წელიწადში ერთხელ; ▪ ბეჭდური სასწავლო და სამეცნიერო პროდუქციის შეფასება - საჭიროებისამებრ; ▪ მაგისტრანტების აკადემიური მოსწრების ანალიზი - წელიწადში ერთხელ. პროგრამის პერიოდული შეფასების შედეგები განიხილება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოზე, კურიკულუმის კომიტეტში, სასწავლო დეპარტამენტებში. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ გამოკითხვის შედეგები ▪ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაშიუმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამაგისტრო პროგრამა "ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა"

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ხათუნა საგანელიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ციცინო თურქაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლანა ბოკუჩავა